საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი, 2017 წელი

დადგენილება № 04-01/04

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1.შეტანილ იქნას ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში და მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.მასწავლებლის თანამდებობაზე შეიძლება მოწვეულ იქნას:

ა)თეორიული მიმართულებით - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც არ მოიძებნება შესაბამისი დარგის სპეციალისტი, შესაძლებელია მასწავლებლად მოწვეულ იქნას ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ბ)საშემსრულებლო მიმართულებით - სპეციალობის მიმართულებით პროფესიული ან შემოქმედებითი წარმატებების მქონე პირი.“

2.აღნიშნული ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე.მესხია